მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 88

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2010 წელი

ერთის მხრივ, სსიპ თბილისის 74-ე საჯარო სკოლა, წარმომადგენელი მისი დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი და მეორეს მხრივ, ხელოსანი, მოქალაქე გიორგი ქავთარაძე, მცხოვრები ქ. თბილისი, გლდანის მე-6მ/რ, კორპ. №6, ბინა 43-ში, პირადი №01002027281, №a0528367, თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს II განყოფილების მიერ, გაცემულია 2004 წლის 16 ივლისს, შემდგომში შემსრულებელად წოდებული, ვთანხმდებით და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია იატაკის საფარის (ლინოლიუმის) დაგებასთან დაკავშირებული სამუშაოს ერთჯერადად შესყიდვა

1.2. შესასრულებელ სამუშაოში შედის:

- სკოლის შენობის პირველი სართულის №9 საკლასო ოთახში(54მ²) იატაკის საფარის დაგებამდე ნარჩენი ფისის (გუდრონი) აფხეკა – დასუფთავება;
- დასუფთავებულ იატაკზე დვპ-ს დაგება;
- იატაკის საფარის დაგება;
- პლინტუსების(30მ²) დამაგრება.

2. მხარეთა უფლება - მოვალეობები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია, შეუქმნას შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი და უსაფრთხო პირობები

2.2. შემსყიდველი ვალდებულია დროულად მოამარაგოს შემსრულებელი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალით (იატაკის საფარი 54მ², დვპ, წებო ემულსია 5კგ, ფუნჯი 1 ც, პლინტუსი 30მ², ლურსმანი 2,5 კგ.)

2.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს შესასრულებელი სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულება.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლის დროული ანაზღაურება.

2.5. შემსრულებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები.

2.6. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.7. შემსრულებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და გადახდის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთჯერადი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 125 (ასოცდახუთი) ლარს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლის დაცვით (ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20%-ით)

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით, საშემოსავლო გადასახადის კანონის დაცვით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტით ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების ვადები და პირები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმდებს 2010 წლის 30 დეკემბრამდე.
4.2. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები.
4.3. შემსყიდველს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ კომპენსაციის გარეშე მოშალოს ხელშეკრულება ვადის ამოწურვამდე.
4.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები და საბოლოო ხელმოწერები

„ შემსყიდველი “	„შემსრულებელი„
სსიპ თბილისის №74 საჯარო სკოლა	გიორგი ქავთარაძე
მისამართი: თბილისი	მისამართი: თბილისი
კაკაბეთის ქუჩა № 2	გლდანის მე-6 მ/რ, კორპ.6, ბინა 43
დირექტორი:	
მარინე ჯარმელიშვილი	გიორგი ქავთარაძე